პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
პარასკევი
23 ნოემბერი
№ 268 (17613)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

22 ნოემბერს გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი, მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები, მეფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა დიდი ჯგუფი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო დაწესებულებათა ... , ... , ... ,

მთის რაიონები: ცვლილებების ხანა

ამბარის მთის რაიონებში ფართოდ გაიშალა მუშაობა მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცების, სოფლელთა ცხოვრების სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისათვის. ეს მუშაობა მიმდინარეობს „აჭარის ასსრ მაღალი მთის რაიონებში სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

რა გაკეთდა ამ მიმართულებით, რა უნდა გაკეთდეს ახლო მომავალში? ამის შესახებ საინფორმის კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. პაპუშაძე.

მთის ციცაბო ფერდობებზე შეფენილია სოფელ სამოლეთის კოლმეურნეთა სახლები, მეზობლები ერთმანეთს თითქმის კედლებიანთ არიან დაშორებულნი. სამი პატარა კოლმეურნეობის — სოფლების წაბლანის, წინარეთისა და სამოლეთის რესურსების გაერთიანებამ შუახევის რაიონის მეურნეობად, სადაც ძირითადი დარგია მეცხოველეობა, ხელი შეუწყო საკვები ბაზის მნიშვნელოვნად განმტკიცებას და იმას, რომ თავა სხვაგან აღარ შეესყიდათ, ამის შედეგად თითქმის ერთიორად გაიზარდა რძისა და ხორცის წარმოება. მეტი ეფექტიანობით ვითარდება მეთამბაქეობა და მევენახეობა. ამ კულტურების მოსავლიანობა გაერთიანებულ კოლმეურნეობაში საშუალოდ 22-25 პროცენტით გაიზარდა. შესამჩნევად გადიდდა კარტოფილის, სიმინდის, ხილის მოსავალი.

გაუმჯობესდა სოფლელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

აჭარის ასსრ მთის რაიონებში ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ საზოგადოებრივი მიწის ფონდის 71,3 პროცენტი, მათ შორის სახნავის 70,4 პროცენტი, ბუნებრივი სათიბების — 94,5 პროცენტი, საძოვრების 88,2 პროცენტი. მაგრამ ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების ზვედრითი წონა აჭარის კოლმეურნეობათა მთლიან და სასაქონლო პროდუქციაში 19-20 პროცენტს არ აღემატება. საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ ახლო წარსულში რესპუბლიკის მაღალი მთის რაიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას არ ეთმობოდა ჯეროვანი ყურადღება. საჭირო იყო ასეთი მდგომარეობის გამოსწორება და დღეს ჩვენ ვხელმძღვანელობთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულად დასაბუთებულ, ეკონომიკურ განგარიშებაზე დაფუძნებული დადგენილებით ამ რაიონების სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ.

მეათე ხუთწლედის დარჩენილ დროში და მეთერთმეტე ხუთწლედის წლებში გათვალისწინებულია მწყობრში ჩადგეს უფრო მეტი ახალი ობიექტები, ვიდრე უკანასკნელ ათწლეულში აშენდა. აიგება ახალი მეცხოველეობის ფერმები, თავის საცავები, ვეტერინარული მომსახურების პუნქტები, მთის ბევრ სოფელში გავიყვანთ წყალსადენს, აშენდება ათობით ახალი სკოლის შენობა, — კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება და საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი.

დიდი მუშაობა წარმოებს მეცხოველეობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის. მიგვაჩნია, რომ აჭარის მფიან რაიონებში მიზანშეწონილია შეიქმნას 1000-1.200 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელი კომპლექსები. ქედის რაიონის ყოფილი საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმის ბაზაზე და შუახევის რაიონის სოფელ ღვანის კოლმეურნეობაში უკვე შეიქმნა ასეთი კომპლექსები.

ისახება პერსპექტივები მაღალი მთის რაიონების მრეწველობის განვითარებისათვის. რაიონულ ცენტრ ხულოში აშენდება ბათუმის სამკერვალო-საწარმოო გაერთიანების ფილიალის ახალი კორპუსი, რომელსაც 500 სამუშაო ადგილი ექნება. ეს მნიშვნელოვნადად გადაწყვეტს ადგილობრივი მოსახლეობის, კერძოდ, ქალთა დასაქმების პრობლემას, რასაც დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს. ქედის რაიონში ფართოვდება ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ფილიალი. ქარხანამ აქ სამუშაოდ უკვე მოამზადა 100-ზე მეტი კვალიფიციური მეჩარხე სოფლის ახალგაზრდობისაგან.

წარმატებით წყდება სოციალური განვითარების ამოცანებიც. ფართოდ გაიშალა სამოქალაქო მშენებლობა. ხულოში შენდება მრავალბინიანი სახლები, სპორტული სკოლა საცურაო აუზით, 350 ადგილიანი ახალი კინოთეატრი. უმაღლეითო გაქანებას იძენს სასკოლო მშენებლობა. მთებში აშენდება 30 ახალი სკოლა, სკოლებთან არსებული ინტერნატი.

უმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. აჭარის მთის რეგიონში აიგება ცხრა რაიონული და საუბნო საავადმყოფო და დისპანსერი, მათ შორის ბავშვთა საავადმყოფო.

იხსნება ახალი სასოფლო კლუბები, მუსიკალური სკოლები, მთელი რიგი კლუბები კულტურის სახლებად გარდაიქმნება.

დიდი ყურადღება ეთმობა კავშირგაბმულობის, მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის გაფართოებასა და დონის ამაღლებას.

მთის რაიონების სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო დონე ბევრად არის დამაკიდებული ტრანსპორტზე. ხულოში ამოქმედდება კიდევ ერთი ავტოსატრანსპორტო საწარმო, დასახულია დაინერგოს აჭარის პირობებში ახალი სახეობის ტრანსპორტი — სამგზავრო და სატვირთო საბაგირო გზები ამ სახეობის ტრანსპორტის უპირატესობანი და რენტაბელობა ცხადია.

ცნობილია, რომ ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობა გადამწყვეტ წილად არის დამოკიდებული კადრებზე, მოთხოვნები კადრებისადმი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებებში. პარტიის საოლქო კომიტეტი სრულყოფს კადრების შერჩევისათვის, განაწილებისა და აღზრდისათვის მუშაობას. მათ წაყენებული აქვთ მაღალი მოთხოვნები.

დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას ჩვენში საშუალო რგოლის კადრებით მეურნეობათა განმტკიცების საკითხი. სწორედ აქ ჯერ კიდევ ეაწყდებით მუშაკთა არაკომპეტენტურობას, იმას, რომ მათ არა აქვთ ორგანიზაციული ჩვევები.

დასაბამი მეცა ახალ ეტაპს მაღალი მთის რაიონების სახალხო მეურნეობის განვითარებაში, აჭარის მთის რეგიონისა და დაბლობი სუბტროპიკული რაიონების მოსახლეობის ცხოვრების დონეში ჯერჯერობით არსებული განსხვავების დაძლევის პრობლემის გადაწყვეტას, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ წყდება ეს პრობლემები, ახლახან განხილა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ. აჭარის მთის რაიონებში ეკონომიკის განვითარებასა და ცხოვრების სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებში დიდ დახმარებას გვიწევს რესპუბლიკის ბევრი სამინისტრო, უწყება, ორგანიზაცია. მაგალითად, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ დამატებით გამოვვიყო 11 ავტობუსი, მთიან აჭარაში გახსნა სამი ახალი საავტომობილო მარშრუტი. საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო აწარმოებს შუახევის რაიონში ქვიახიძეები — ლომანაურის სარწყავი არხის კაპიტალურ რემონტს და ნაპირსამაგრ სამუშაოებს ხულოს რაიონის სოფლებში თხილვანასა და სხალთში. „საქენერგოს“ სისტემამ მოახდინა 16 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზის რეკონსტრუქცია ქედის რაიონში, შენდება ქვესადგური ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარაში. საქმთავარგაზმა გახსნა თხევადი გაზის ბალონების შესანახი პუნქტები ხულოს რაიონის სოფლებში ხიხადირსა და ღორჯომში. საქართველოს სსრ სახმშენი ადგენს რაიონული (ვენტრის შუახევის განვითარების გენერალურ გეგმას.

მაგრამ მაინც მთიელებს შეუძლიათ სერიოზული პრეტენზიები წაუყენონ სხვადასხვა ორგანიზაციას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები, თვალისწინებულ დავალებათა შესრულებას აყოვნებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. [illegible] ბლემა. მას დღემდე არ გამოუყვია 10 საშტატო ერთეული აჭარის პირუტყვის ხელოვნური დათესვლის სახელმწიფო სანაშენე საფაბრისათვის. სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია შუახევში მოძრავი მექანიზებული კოლონნის შექმნის საკითხი. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და განათლების სამინისტროს დაპირებული სამი უაზ-469 ავტომობილიდან არც ერთი არ გამოუყვია მოძრავი ფილმოთეკების მოსაწყობად. ენერგეტიკის ხაზით არ დაწყებულა 8 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზის რეკონსტრუქცია შუახევის რაიონში. საქართველოს სსრ საგზაო-სამშენებლო სამინისტრომ აჭარის მთის რაიონებში უნდა გახსნას მხატვრული სარეწებისა და სუვენირების საწარმოები. ჯერჯერობით არც ამ მიმართულებით გაკეთებულა რამე.

აჭარის პარტიულ ორგანიზაციას, ყოველ კომუნისტს, ყოველ მშრომელს ღრმად აქვს შეგნებული, რომ მაღალი მთის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ვრცელი პროგრამის ფრამატებით შესრულება მნიშვნელოვან ღონისძიებებს მოითხოვს და მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველაფერი იღონონ, რათა სრული მოცულობით განახორციელონ ეს პროგრამა.

ეროვნული ანგარიშები

[illegible] ბიუროს ინფორმაციისა [illegible] ქარხნის [illegible] ბლემები [illegible] ალრიან საქა[illegible] ეროვნულ [illegible] ბლემებზაც სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიო სიგელები მიენიჭათ. ეს აცნობეს ნაგაოფოლობითი სახალხო რაზმეულების რესპუბლიკური შტაბის მორიგი სხდომის მონაწილეებს, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზიანი.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მუშაობისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში დიდი წვლილისათვის სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ აგრეთვე ბათუმელ ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელები, საქმთავარენერგოს ცხინვალის ელექტროქსელის, ქუთაისის № 1 პუროკომბინატის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები და სხვა კოლექტივები.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროების საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, ფოთის, სხვა ქალაქებისა და რაიონების ნებაყოფლობითი ქსახალხო რაზმეულების წევრები.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ცხრა თვის საქმიანობის ანგარიშებით გამოვიდნენ თბილისისა და სამხრეთ ოსეთის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ხელმძღვანელები. (საქინფორმი).

ᲗᲐᲗᲒᲘᲠᲝᲗᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲰᲘᲓᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ

თელავი, 21 ნოემბერი. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, გორკის, ტაშკენტის, ალმა-ათის, ბაქოს, ერევნის, თბილისისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების 300-მდე ახალგაზრდა ჰიდროტექნიკოსი განიხილავდა მთის პირობებში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პრობლემებს. ამ თემას მიეძღვნა საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, რომელიც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და ენერგეტიკის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების, საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოსა და თბილისის ტექნიკის სასლის ინიციატივით იყო მოწვეული.

ჰიდროტექნიკური მოწყობილობის, ჰიდრავლიკისა და ჰიდროტექნიკის, სამშენებლო მექანიკისა და კონსტრუქციების, ენერგეტიკისა და ელექტრული მანქანების სექციებში 80-მდე მოხსენება წაიკითხეს მაღალი მთის პირობებში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხებზე.

მსჯელობენ მეფრინველეობის პროგლემებზე

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების მეფრინველეობის საცდელ სადგურში მიმდინარეობს მეფრინველეობის შემდგომი განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი საკოორდინაციო თათბირი.

თათბირზე, რომელიც საბჭოთა კავშირის მეფრინველეობის სამეცნიერო-კვლევითმა და ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა მოიწვია, იხილავენ ფრინველის არსებული ჯიშების სრულყოფისა და ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების შექმნის და კვებისა და ხორცის წარმოების პროგრესული ტექნოლოგიის შემუშავების საკითხებს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ დარგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დირექტორები და მუშაკები, წარმოების ნოვატორები. (საქინფორმი).

ზესტაფონელ პოლიგრაფისტთა გამარჯვება

საქართველოს სსრ გამსახკომის ზესტაფონის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი (გენერალური დირექტორი — ვ. ნებიერაძე) რესპუბლიკის პოლიგრაფიულ საწარმოთა შორის ერთერთი მოწინავეა.

წლეულს ეს გაერთიანება ორჯერ — მეორე და მესამე კვარტალის დავალებათა და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის სსრ კავშირის გამსახკომისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებითა და პირველი ფულადი პრემიებით დაჯილდოვეს.

ამ გამარჯვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ჭიათურის საქალაქო სტამბამ (დირექტორი — ჯ. თოდრია), საჩხერის რაიონულმა სტამბამ (დირექტორი — შ. გოგოლაძე), თერჯოლის სტამბამ (დირექტორი — ვ. ბუსკიკაძე), ორჯონიკიძის სტამბამ (დირექტორი — ს. შარიქაძე).

ამ ჯილდოს პოლიგრაფისტები მაღალი შრომითი მაჩვენებლებით უპასუხებენ და პირობას დებენ, წარმატებით დაამთავრონ ხუთწლედის მეოთხე წელი.

ა. ფოცხვერაშვილი,
გაზეთ „კომუნისტის“ შტაბგარეშე კორესპონდენტი.

განიარაღების რეალური გზა

ბონი, 21 ნოემბერი. აქ გამოვიდა მასალების კრებული ევროპის უშიშროების საკითხებზე საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი ინიციატივების შესახებ. კრებული გამოუშვა გამომცემლობა „პალ-როგენშტაინ ფერლაგმა“ (კელნი). იგი, იწყება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ბერლინში წარმოთქმული სიტყვებით, რომელშიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა სამშვიდობო წინადადებანი. ეს წინადადებები საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ გამალებული შეიარაღების ახალი ესკალაცია, დავდგეთ რეალური განიარაღების გზას, დავიცვათ და გამრავლოთ დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის ნაყოფი. გამოქვეყნებულია ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვაზე.

კრებულში შეტანილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის სტატია, რომელიც „პრავდაში“ დაიბეჭდა, აგრეთვე მთელი რიგი სხვა მასალები.

საბჭოთა კავშირის ახალ მშვიდობიან წინადადებათა კომპლექსი იძლევა მოლაპარაკების შესაძლებლობას, რომელიც უთუოდ უნდა გამოვიყენოთ, წერენ კრებულის წინასიტყვაობაში დასავლეთ გერმანიის თვალსაჩინო მეცნიერი გ. კადე და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცნობილი საზოგადო მოღვაწე გ. მატისენი. ევროპის კონტინენტისათვის საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი შანსი — უზრუნველყოს მტკიცე უშიშროება, არ უნდა დავკარგოთ ნაჩქარევი შეიარაღებით, ხაზს უსვამენ წინასიტყვაობის ავტორები.

ისინი აღნიშნავენ, რომ ნატოელი სტრატეგები, რომლებიც ცდილობენ ეარყოონ დღეს დაანლოებები ბირთვული წონასწორობა ევროპაში; ამით ეწინააღმდეგებიან არგუმენტაციას, რომელსაც ნატო სამი ათეული წლის მანძილზე აყენებდა. „ევროსტრატეგიული“ ბირთვული იარაღის გეგმები მიზნად ისახავს ნატოს ალბოლური სტრატეგიული უპირატესობის უზრუნველყოფას, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეორე ხელშეკრულების ჩაფუშვას.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკება

22 ნოემბერს გაიმართა სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობების დელეგაციათა პლენარული სხდომა (საკდესი).

მოკლედ

ყოველი მხრიდან

22 ნოემბერი

● **ლონდონი.** როდეზიის შესახებ აქ მიმდინარე კონფერენციაზე დიდი ბრიტანეთის დელეგაციამ უარყო ცეცხლის შეწყვეტის გეგმა, რომელიც გუშინ ზიმბაბვეს პატრიოტულმა ფრონტმა წარმოადგინა. პატრიოტული ძალების წინადადებანი ითვალისწინებენ, კერძოდ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარებისა და დასავლელ დაქირავებულთა რაზმების გაყვანას როდეზიიდან, დამსჯელი რაზმების დაშლას, თეთრკანიან მოსახლეთა იარაღის კონფისკაციას, აგრეთვე ცეცხლის შეწყვეტისადმი ეფექტიანი კონტროლის უზრუნველყოფას.

● **ბეირუთი.** ისრაელის მარიონეტები ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ლიბანის დაცვის არმიიდან“ განაგრძობენ დაძაბულობის ესკალაციას ქვეყნის სამხრეთ რაიონებში.

აქ მიღებული ცნობებით, სეპარატისტთა მქმე არტილერიამ დაუშინა ცეცხლი ქალაქ ნაბათიიის ახლოს მდებარე დასახლებულ პუნქტებს და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მათ.

● **ლუსაკა.** როდეზიის დედაქალაქში ჩავიდა ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის დელეგაცია. სოლსბერიდან მიღებული ცნობებით, ამერიკელი კონგრესმენები, რომლებიც მანამდე რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ეწვივნენ, როდეზიის უკანონო ხელისუფალთა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან ერთად განიხილავენ ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებას. ისინი, კერძოდ, შეხვდებიან როდეზიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი თანამდებობის პირებს და მოლაპარაკებას გამართავენ მარიონეტ „პრემიერ“ მუზორევასა და „საგარეო საქმეთა მინისტრ“ გუკომეხთან.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲑᲝᲚᲘᲕᲘᲐᲨᲘ

ებრძოლოს მემკვიდრეობით მიღებულ სიძნელეებს სახელმწიფო სექტორის განმტკიცებისა და შინაგან დაგროვებათა გაზრდის გზით, არ დააკისროს სიძნელეთა ტვირთი მშრომელებს.

ამავე დროს შეიარაღებული ძალების უმაღლესი ოფიცრების დიდმა ჯგუფმა, რომელიც, მათი სიტყვებით სამხედროთა 80 პროცენტის წარმომადგენელია, უარი თქვა დამორჩილებოდა ამა წლის 1 ნოემბრის გადატრიალების შემდეგ დანიშნულ ახლანდელ უმაღლეს სარდლობას. რესპუბლიკის პრეზიდენტთან შეხვედრისას მათ მთავრობას აღუთქვეს კონსტიტუციის ერთგულება.

აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ამ ოფიცრებმა თქვეს, რომ ამჟამად უმაღლესი სარდლობა გენერალ ე. კასტილიოს მეთაურობით ყოველნაირად ცდილობს, ის კი არა, ემუქრება კიდეც მთავრობას, რათა შეინარჩუნოს თავისი პოსტები.

ეროვნულმა კონგრესმა მიღებულ რეზოლუციაში აგრეთვე მოითხოვა, რომ მთავრობამ დემოკრატიზაციის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით თანამდებობიდან გადააყენოს გადატრიალების მონაწილე ყველა უმაღლესი ოფიცერი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲡ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ

ინგლისი. „გამარჯვება ზიმბაბველ ხალხს!“, „ბრიტანეთის ჯარებს როდეზიაში არაფერი ესაქმებათ!“ — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა ლონდონში ზიმბაბველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან სოლიდარობის მასობრივი დემონსტრაცია. ათასობით ადამიანმა ჩაიარა ინგლისის დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, რათა პროტესტი განეცხადებინა სამხრეთ აფრიკაში ბრიტანეთის ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ.

სურათზე: დემონსტრაციის მონაწილენი.
იუპი-საკდესის ტელეფოტო.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ბუქარესტი, 21 ნოემბერი. აქ მუშაობას განაგრძობს რუმინეთის კომუნისტურ პარტიის XII ყრილობა. დელეგატები იხილავენ რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებას პარტიის XI და XII ყრილობებს შორის პერიოდში განხორციელებული მუშაობის შესახებ, ყრილობის დირექტივების პროექტს 1981-1985 წლებში რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმისა და 1990 წლამდე ქვეყნის ამ განვითარების პერსპექტიულ მიმართულებათა შესახებ, აგრეთვე ყრილობის განსახილველად წარმოდგენილ სხვა დოკუმენტებს.

ხუთწლედის პირველი ოთხი წლის შედეგები მოწმობს, თქვა კამათის მონაწილემ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური აღმასკომის წევრმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ი. ვერდეცმა, რომ 1976-1980 წლების გეგმა წარმატებით შესრულდება. ამ პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოვა 100 მილიარდი ლეის სამრეწველო პროდუქცია. მან ხაზი გაუსვა, რომ რუმინეთის კომუნისტური პარტია თავის პოლიტიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირთან, ყველა სოციალისტურ სახელმწიფოსთან მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებას.

რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრმა ა. მიკულესკუმ განაცხადა, რომ დარგის მშრომელთა წინაშე დგას მნიშვნელოვანი ამოცანა — საგრძნობლად გაადიდონ მომავალ ხუთწლედში სოფლის მეურნეობის ძირითადი კოლტორების წარმოება.

ტელეორმანის მაზრის პარტორგანიზაციის დელეგატმა ნ. მარინმა თქვა, რომ ყრილობის მონაწილეთა განსახილველად წარმოდგენილი პროგრამა მაზრების შემდგომი ჰარმონიული განვითარების შესახებ ხელს შეუწყობს იმას, რომ რაციონალურად განაწილდეს საწარმოო ძალები რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე განხორციელდეს ქვეყნის იმ რაიონების ინდუსტრიალიზაცია, სადაც ჯერ კიდევ ჭარბობს სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

დანარჩენმა ორატორებმა გამოთქვეს რესპუბლიკის კომუნისტთა და მშრომელთა მისწრაფება მთელი ძალ-ღონე მოახმარონ ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას.

ᲔᲡᲔᲛᲔ ᲨᲕᲔᲜᲘ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ“!

ტელ-ავივის ნარკოტიკული გუმერანგი

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲚᲐ დროს ისრაელ სამხედრო მოსამსახურეთა შორის ნარკოტიკების მოხმარებამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ პრესა ალაპარაკდა. ისრაელის გაზეთ „ედიოტ აჰრონოტის“ სამხედრო მიმომხილველი ეთინ ჰაბერი შეშფოთებით წერდა: „სამხედრო საწყობებში უწესრიგობასა ან ჰოსპიტლებში შრატის ნაკლებობას ვიდევ მოვალეობა, მაგრამ არმიაში ნარკოტიკების გავრცელება, რასაც ბოლო არ უჩანს, ხომ უფრო სერიოზული რამ არის“.

თურმე, ნარკოტიკების ვაჭრობაა გაჩაღებული ნაწილებსა და ყაზარმებში. რიგითს ჯარისკაცებს გაქნილი კომერსანტები თავიანთ საქონელს შედარებით იაფად სთავაზობენ.

ე. ჰაბერი მთელ ამ უბედურებაში ბრალს სდებს ბედუინ არაბებს: მათ არალეგალურად მიაქვთო ბანგი არაბული სასაზღვრო რაიონებიდან ისრაელში და გზას აცდენენო „დიდი სიონის“ ქეშმარიტ შვილებს. მაგრამ იმათ, ვინც არაბულ გაზეთებში ბაიკოტიანებულ „ინტერპოლის“ (საერთაშორისო პოლიციის) კომისიის მოხსენებას გაეცნო, სრულიად სხვა სურათი ესახებათ. აქ ნათლად არის ნათქვამი, რომ „ამ ბოლო წლებში ისრაელი კოკაინს, ჰაშიშს, ჰეროინუმის და სხვა ნარკოტიკების კონტრაბანდის ერთერთ ცენტრად იქცა. ისრაელის ხელისუფალნი წარმართავენ და აფინანსებენ კონტრაბანდისტებს. ადგენენ მათს მარშრუტებს, ამარაგებენ სწრაფმავალი კატარღებითა და ვერტმფრინველებით. ის კი არადა, ამ ოპერაციებში ისრაელის სამხედრო მოსამსახურენიც მონაწილეობენ“.

ამას წინათ ბაღდადში გამართულ სრულიად არაბეთის თათბირზე, რომელიც ნარკოტიკების პრობლემებს მიეძღვნა, აღინიშნა, რომ არაბული ქვეყნები ახლო აღმოსავლეთში ტელ-ავივის მხრივ ნამდვილი „ნარკოტიკული ომის“ ობიექტი გახდა. მისი მიზანია ნარკომანია გადასდოს არაბებს, გასაკუთრებით ახალგაზრდებს, დასუსტოს ისინი მორალურად და ფიზიკურად, შეურყიოს მომავლის რწმენა და წინააღმდეგობისადმი მისწრაფება.

ამასთან, როგორც ფაქტები მოწმობს, იმათ, ვინც ამ ომს წარმართავს, არ ავიწყდებათ საკუთარი მოგება. ერაყის გაზეთი „ალ-ჯუმჰურია“ წერს, რომ ნარკოტიკების ვაჭრობით ისრაელის მაფიის მოგება ყოველწლიურად 1,7 მილიარდ ინგლისურ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. ადამიანთა სიკვდილით, ტანჯვით, ფსიქიკური შერყევით ნაშოვნი ეს ფული შემდეგ „იწმინდება“ და მიდის კერძო სექტორში, ბირჟაზე. „აღთქმული მიწის“ პოლიცია თვალს არიდებს მაფიის საქმიანობას, მას ხომ ზურგს უმაგრებენ ნარკოტიკული ბიზნესის „კაპიტნები“, მათ შორის პოლიტიკური მოღვაწეებიც და არმის გენერლებიც.

ისტორიიდან ბევრი მაგალითი ვიცით იმისა, თუ როგორ იყენებდნენ ომების დროს ნარკოტიკებს იარაღად. ამას მიმართავდნენ იაპონელი და ამერიკელი იმპერიალისტები ჩინეთში. ამავე იარაღის გამოყენებას ცდილობდნენ ამერიკელები ვიეტნამშიც. ყველაფერი, რით დამთავრდა ყოველივე ეს — ნარკომანიის ეპიდემია, რომელიც თავდაპირველად თვით ოკუპანტებს, შემდეგ კი ამერიკის მთელ არმიას მოედო, საბოლოოდ ანგარიშით ამერიკის საზოგადოებაში გავრცელდა.

ი. იურიევი.

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

თეირანი. 21 ნოემბერი. დღეს ირანის დედაქალაქში გაიმართა გრანდიოზული ანტიამერიკული მანიფესტაციები, რომელებშიც 3 მილიონამდე კაცი მონაწილეობდა. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის საწინააღმდეგო საპროტესტო მიტინგზე შეკრებილმა ასეთათასობით თეირანელმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ამერიკის იმპერიალიზმს ირანელი ხალხის „უპირველესი მტერი“ უწოდა. ამ მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ნათქვამია რეზოლუციაში, სრულ გამარჯვებამდე გაგრძელდება.

ირანელი ხალხის აზრით, ხაზი გაუსვეს მიტინგის მონაწილეებმა, შაჰი არის არა პოლიტიკური ემიგრანტი, არამედ პროფესიული დამნაშავე და გაქცეული მკვლელი, ხოლო მისთვის თავშესაფრის მიცემა — ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევა.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თეირანის საელჩო გახდა „ირანისა და მთელი ამ რეგიონის წინააღმდეგ ჯაშუშობისა და შეთქმულებათა ცენტრი“.

ვაშინგტონი, 21 ნოემბერი. თეთრ სახლში გაიმართა პრეზიდენტ ჯ. კარტერის მორიგი თათბირი თავის თანაშემწეებთან და კაბინეტის წევრებთან, რომელზეც კვლავ განიხილეს ამერიკა-ირანის ურთიერთობის კრიზისი, თათბირში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ჰ. ბროუნი და შტატების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი დ. ჯოუნსი.

თეთრი სახლის მიერ გამოქვეყნებული მოკლე განცხადება შეიცავს ცდას მთელი პასუხისმგებლობა შექმნილი ვითარებისათვის ირანს დააკისრონ. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ შეერთებულ შტატებს პრობლემის გადაჭრის მშვიდობიან საშუალებებთან ერთად „სხვა საშუალებებიც აქვს“.

მიმომხილველთა აზრით, აქამდე გაკეთებულ განცხადებათა შორის ეს ყველაზე მკაცრია და შეერთებული შტატების აშკარა მუქარაა, რომ ირანის წინააღმდეგ გამოიყენებს სამხედრო ძალას.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი გაგზავნილებით სუბიკ-ბეის სამხედრო-საზღვაო ბაზიდან, რომელიც ფილიპინზეა, ინდოეთის ოკეანეში გაიგზავნა სამხედრო



ИРАКЛИ АБАШИДЗЕ:

მაცოცხლე შენთვის, მამყოფე შენთან...

პოეტი—ერისკაცი

გიორგი მერკვილაძე

ისტორიული ოცდაათი წლები დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ირაკლი აბაშიძემ პირველი ლექსები გამოაქვეყნა.

ჩვეულებრივ, პოეტისათვის, პირველი სტრიქონები ყოველთვის როდია კამერტონი მთელი შემდგომი შემოქმედებითი გზისა. მაგრამ მათში გარკვეული დოზით ვერ შეიძლება არ ვლინდებოდეს ცხოვრებისადმი დამოკიდებულების, სამყაროს აღქმის მისეული ფოკუსი; ის, რაც შემდგომ უნდა დაიხვეწოს, შეივსოს, განივრცოს, გამდიდრდეს.

მოქალაქეობრივობის მძაფრი ბგერა ისმის ადრეულ ირაკლი აბაშიძის ლექსებს მომმართველ ტუტად. ირგვლივი სინამდვილის პოეტური ხილვა დაემყარა ახალი სოციალური სმენარის იმგვარი ლირიკული გამოხატვის პრინციპს, როცა ეს სინამდვილე ესთეტიკური მკვიდრების საგნად იქცეოდა.

მოქალაქეობრივობის მოტივს იმ ეპოქის ლირიკაში, საერთოდ, თუმცა ერთგვარად აშიშვლებდა ერის პლანზე გამოსული სოციალური ასპექტები, მაგრამ მისი შემოქმედებითი ძალა ესიტყვებოდა სწორედ დიადი გარდაქმნების საერთო ტონუსს, მათს ფართო ფალაბოტს ერთვოდა როგორც გამახლებული და ძლიერი სულიერი ნაკადი.

ვინც მომსწრე ყოფილა იმ ეპოქისა, ადასტურებს, რომ ირაკლი აბაშიძის ლირიკაც ამით დაიწყო. ბუნებრივია, რადგან პოეზიაში ახლად მოსულ კაცს თან უნდა მოეტანა ახალი დროის პიროვნების განცდა, მისეული დამოკიდებულება ყოველივე იმისადმი, რაც ირგვლივ ხდებოდა. ეს სასმენელად მომართული სულის ცდაც იყო და გამოცდაც.

მას შემდეგ საკმაოდ დიდმა დრომ განვლო — მთელმა ნახევარმა საუკუნემ.

და თუ ამ ნახევარი საუკუნის შემდეგ, სახელოვანი პოეტის იუბილეს დღეს, დიდ ქართულ პოეზიაში მისი დებიუტი გავიხსენეთ, ეს იმიტომ, რომ უფრო მკაფიოდ წარმოვიდგინოთ როგორც მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრების გზა, ასევე ყოველი ეტაპისათვის ნიშნეული ევოლუციის უნაყოფიერესი პროცესი.

პოეტ ირაკლი აბაშიძის ევოლუცია კი ფრიად თვალსაჩინო და პრინციპული გამოდგა. ეს იყო საკმაოდ რთული გზა. მაგრამ, მიუხედავად ამ სირთულისა, მისი ყოველი მონაკვეთი აღნიშნულია მკაფიო ნიშანსეტეტით.

ჩვეულებრივ, როდესაც შემოქმედის ევოლუციაზე ლაპარაკობენ, ტრადიციის მიხედვით, ევოლუციის. პროცესს ეტაპებად ჰყოფენ ხოლმე თემატიკის, მსოფლგაგების, ხშირად ოსტატობის და კიდევ სხვა ნიშან-თავისებურებების მიხედვით. ირაკლი აბაშიძის პოეტურ გზას, მისი შემოქმედებითი ევოლუციის პროცესს, ასეთი დაყოფა არ ესაჭიროება, რადგან თავიდანვე გარკვეული იყო მისი ესთეტიკური კრედო და სოციალურ-ეროვნული კონცეფცია. რა საგანიც უნდა წამოწეულიყო მის ლირიკაში პირველსაკმეტად, პოეტი ყოველთვის რჩებოდა ეროვნულ თუ სოციალურ ნიადაგზე, თავისი ხალხის სულიერი სიმის მომმართველად, მისი ღრმა ფიქრებისა და განცდების ამომხსნელად. სწორედ აქ უნდა დავძებნოთ მისი პოეზიის ქმედი ძალის საიდუმლო და ერთ ლირიკულ სიმღერად ქცეული მთელი მისი შემოქმედების ესოდენ ფართო რეზონანსის მიზეზი.

ირაკლი აბაშიძის ლირიკის დამახასიათებელი ნიშანია არა მარტო გამაზვილებული სმენა, რაც ბარომეტრის სიზუსტით შეიცნობს დროის ყოველ მნიშვნელოვან ბიძგს, არამედ ამასთანავე ამ მნიშვნელოვანის ესთეტიკურ ფენომენად გააზრება და გარდაქმნა. სწორედ აქ ვლინდება ტალანტის ძალა და სწორედ ეს აძლევს მას დროის მოვლენებში ეპიკური ჩაღრმავების თუ მათი ლირიკულ-ინტონაციური წარმოსახვის საშუალებას. ეს ჩაღრმავება თუ წარმოსახვა კი ყოველთვის ეპოქისეულია: მაშინაც, როცა საქმე ეხება „სიცოცხლეს ჩვენს პლანეტაზე“, „შეხვედრას პეკინში“ თუ „მწველი ინდოეთის“ ტრამალებს, და იმ დროსაც, როდესაც ლირიკოსს განეცდია „მონადირის ღამე“, უხილავს „სამი ციხე“ თუ მოუსმენია „პირველი თოვლის სიმღერა“ ან მისცემია „მიახლოების“ სევდანარევ ინტიმურ განცდებს.

ამიტომ შემოხვევითი როდია, რომ ძირითად ფორმად პოეტი იყენებს ციკლურ რკალებს. რკალურ პრინციპში ალბათ უფრო სრულად ხერხდება ეპოქის მთავარი ტენდენციების ხაზგასმული აქცენტირება, დროისა და ადამიანის ურთიერთობის, ურთიერთგანპირობების შინაგანი კანონების მხატვრული გახსნა. აქ ხორციელდება ეპიკურისა და ლირიკულის თავისებური სინთეზი, რომლის აუცილებლობასაც თანამედროვე მედიტაციური პოეზიისათვის ასე ერთგულად იცავს პოეტი დღეკანდელი პოეტური ეპოსის გამო თავისი თეორიული მოსაზრებებითაც.

ასეთია მისი „აქ დავსახლდები“ თუ „მონადირის ღამეები“, „სიმღერა მკის დროს“ თუ „მიახლოება“; ასეთია დიდი სულიერი განცდებით ამონათქვამი, ტანჯვით თუ ფანტიკური რწმენით დამუხტული „რუსთაველის ნაკვალევის“ ორი ცნობილი ციკლი.

ამგვარად, მოქალაქეობრივი პრინციპი მხატვრულ აზროვნებაში პოეტისათვის არის არა აქტუალური, სოციალური თუ პოლიტიკური თემის მხოლოდ ტენდენციური გამძაფრება, არამედ უმთავრესად დღის დიდი საკითხის წინ წამოწევა მისი ღრმა ფესვიანი თემატური თუ ვერსიფიკაციული ნოვაციები. ამ თვალსაზრისით მთელი მისი ლირიკის გვირგვინს წარმოადგენს, უპირველესად, რესპუბლიკის მაღალი ლიტერატურული პრემიით აღნიშნული „რუსთაველის ნაკვალევზე“. პოეტის 60-70-იანი წლების ლირიკაში უფრო მკაფიოდ იჩინა თავი დაფიქრებისა და განსჯის ტენდენციამ; უფრო მგრძნობიარე გახდა ლირიკული გმირი თავისი ღრმა ფსიქოლოგიური განცდებითა და საზრუნავით.

და ესეც ბუნებრივია: გასაუბრება მუზასთან („და შენ ხარ მუზა?“), შეხვედრა შთამომავლობასთან („ქებაც, ყვედრებაც...“), გადაძახილი ძველ მეგობარს („ისევ გვეძახის ალაზანი“), დაუვიწყარი სახეების გაცოცხლება („ბოლიკი მღერის“, „პაოლო იაშვილს“), დაფიქრება საწუთროზე („ხან წუთი, ხან საუკუნე“) უნდა მოჰყოლოდა ადამიანთა სულში ჩამდგარ ახალ ცვლილებებს როგორც ახალი ფსიქოლოგიური ფენომენი.

ირაკლი აბაშიძეს — დიდი, სახელოვანი შემოქმედებითი გზისა და მომავალ პერსპექტივას იმედიანად დამიზნებულ პოეტს — თავისუფლად შეუძლია თქვას:

ყველა სიახლეს, ყველა სიყრმეს,
ყველა სანატრელს
მე კვლავ შევხარი,
კვლავ ვდარაჯობ,
კვლავ არ ვღალატობ,
მხოლოდ უმაღლესს,
მხოლოდ უღრმესს,
და ულამაზესს,
ვმსახურებ კვლავაც
უღალატოდ, უშეღავათოდ.

იყოს თავისი ერის გამოჩენილი პოეტი — ეს დიდი ხვედრია ადამიანისა. მაგრამ გაცილებით მეტია მისი ადგილი ერის ცხოვრებაში, თუ ამას თან ერთვის პრაქტიკული მოღვაწის თვალსაჩინო საქმეები. ირაკლი აბაშიძემ მისი ახვევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის პერიოდში ბევრ საერო საქმეს უწინამძღვრა. ხანგრძლივ პერიოდში მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა თუ სალიტერატურო ჟურნალების რედაქტორობა, მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობა თუ პალესტინის ისტორიული სამეცნიერო ექსპედიცია, ფართო ლიტერატურული კონტაქტები თუ წარმატებით დაწყებული ქართული ეროვნული ენციკლოპედიის გამოცემა — ყოველივე ეს განუყოფლად დაკავშირებულია მის სახელთან და განსაკუთრებით აღსანიშნავია სწორედ დღეს, როდესაც ქართველი ხალხი იუბილეს უხდის თავის ღირსეულ შვილს.

სიცოცხლეში მოპოვებული აღიარება ბოძებული ნიჭის არა მარტო სრული გამოვლენის, არამედ ამასთანავე ქვეყნის სასიკეთოდ მისი მიმართვის, ადამიანთა სულსა და გრძნობებზე მისი დიდი ზემოქმედების დასტურია.

ეს უტყუარი ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ გაგონდება, როდესაც ნინა ხაზის მამალი სიტყვა თქვა ირაკლი აბაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ᲓᲔᲓᲐᲔᲜᲘᲡ ᲒᲘᲒᲚᲘᲡᲬᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲔᲚᲘ

ᲗᲝᲗᲐ ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲘ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ აბაშიძის პოეტური ენისათვის ნიშანდობლივია სიადვილე და რაფინირება, ამასთანავე, ამაღლებული სტილი, ნაკარნახევი მისი ლექსების ერთი ციკლის თემატური აუცილებლობით. პოეტი თავის ლექსებში არაიშვიათად იშველიებს სალიტერატურო ენის არქაულ ფორმებს, რომლებიც ორგანულად ერწყმის ახალი პოეტური ენის არქიტექტონიკას და ოდნავადაც არ არღვევს ამჟამად მოქმედი ენობრივი ნორმალიზაციის კანონზომიერებას. კლასიკური სალიტერატურო ქართულის შერჩეული და დახვეწილი ნორმების გაელვება აბაშიძისეულ ენაში სტილისტური მიზნებით არის გამართლებული და აქ ავტორს არ ღალატობს ტაქტი და ზომიერების გრძნობა. ლექსების ციკლში — „პალესტინა, პალესტინა“ ირაკლი აბაშიძე ლიტერატურულ ეფექტს აღწევს ქართული ქლასიკური მეტყველების საერთო ტონალობის შენარჩუნებით და არქაიზებული სტილიზაციით, მიღწეულია ლექსის ამაღლებული სტილი და ამავე დროს შენარჩუნებულია ახალი პოეტიკის ნიშანდობლივი თავისებურებები.

ენაში ასახულია ერის წარსული, მისი ისტორიული განვითარება, ენა ფასდაუდებელი წყაროა კაცობრიობის განვლილი ეპოქების შესასწავლად და გასათვალისწინებლად.

ქართულ საბჭოთა პოეზიაში შეიქმნა ბრწყინვალე საგალობელი ქართული ენისა, მანიშნებელი დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა, რითაც გამსჭვალულია ჩვენი ხალხი თავისი განახლებული და აღორძინებული მშობლიური ენისადმი. ირაკლი აბაშიძის ლექსი „ხმა კატამონთან“ ენობრივი ჰიმნია, რომელიც ჩვენი მწერლობის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს, როგორც მხატვრულ სახეებში გამოთქმული ქება მრავალსაუკუნოვანი და მრავალჭირნახული ქართული ენისა.

ᲬᲚᲔᲑᲘ, ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოდან — ი. აბაშიძე, ს. მიხალკოვი და გ. ტაბიძე; ე. მეჟელაიტისი და ი. აბაშიძე; გ. ლეონიძე, მ. შოლოხოვი და ი. აბაშიძე მცხეთაში.

ᲛᲐᲠᲐᲓ ᲛᲮᲜᲔᲓ...

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ

მართალია, ექიმი გახლავართ, მაგრამ ჩემი პროფესია უფლებას არ მარომევს მიყვარდეს ჭეშმარიტი პოეზია. დიდი გულისყურით ვადევნებ თვალს ჩვენი მწერლებისა და პოეტების ყოველი ახალი ნაწარმოების გამოჩენას.

ირაკლი აბაშიძე ჩემი საყვარელი პოეტია. ეს სახელი დიდი ხნის წინათ ჩამებეჭდა ღრმად გონებაში, ჯერ კიდევ მაშინ, როცა წავიკითხე მისი ლექსი „პირველი თოვლი“.

იმ დღიდან მოყოლებული, მისი შემოქმედებითი გზისათვის თვალი არ მომიშორებია, ხოლო რაც ირაკლი აბაშიძის მკურნალი ექიმი და ახლო მეგობარი გავხდი, ბედნიერება მაქვს თვალყური ვადევნო არა მარტო მის ჯანმრთელობას, არამედ მისი ფიქრის მოძრაობასაც და ისიც კი ვიცოდე, რა გარემოებამ, რანაირმა განწყობილებამ შთაგონეს მას ზოგი ბოლოდროინდელი ლექსი.

პოეტის მკურნალი ექიმი ვარ-მეთქი, რომ ვთქვი, ისე ნურვინ გამიგებს, თითქოს ირაკლი აბაშიძე ავადმყოფობას დაჯაბნოს და დღენიადაგ მის საწოლთან ვიჯდე. არა, გასასინჯად და სამკურნალოდ მასთან იშვიათად მივდივარ. წამალსაც იშვიათად ვუნიშნავ. შენი სიტყვა და საუბარი ჩემთვის ყველაზე უკეთესი წამალიაო, მეხუმრება ხოლმე.

იგი ამ შემოხვევაშიც ჭეშმარიტი პოეტის ბუნებას ავლენს. განწყობა მისთვის ადამიანის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. მან შესანიშნავად იცის ეს სიბრძნე!

სამოცდაათი წელი რა სათქმელია! მჯერა, ასე მხნედ და ჭაბუკურად შეხვდება იგი თავის ასი წლის იუბილესაც.

ᲬᲘᲜᲐ ᲮᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ

ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ

როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე ყოველთვის იქ იდგა და დგას, სადაც მისი სამშობლოს საუკეთესო შვილები იღვწიან. ასე იყო იმ მრისხანე დღეებშიც, როცა ჩვენი ქვეყანა უდიდესი განსაცდელისა და გამოცდის წინაშე იდგა — კაცობრიობის გადასარჩენად ყველაზე ვერაგ და დაუნდობელ მტერს — ჰიტლერულ ფაშიზმს ებრძოდა

მახსოვს, იმ კორპუსს, რომელსაც მე ვსარდლობდი, ირაკლი აბაშიძე ჩვენი რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლებთან ერთად „ყველაზე მძიმე დღეებში ეწვია — 1943 წლის ივლისის მიწურულს.

არასოდეს დამავიწყდება მისი შთამაგონებელი საუბრები მებრძოლებთან — 18-19 წლის ყმაწვილებთან, რომლებმაც სულ ორი თვის წინათ გაიხადეს მოსწავლის ფორმა და ჯარისკაცის მაზარა ჩაიცვეს. არც შემდეგ დავშორებია და 7 აგვისტოს, როცა ჩვენმა შენაერთმა სოფლები ტომაროვკა და ბორისოვკა გაათავისუფლეს, ჩვენთან ერთად ზეიმობდა ამ გამარჯვებას.

1943 წლის 20 აგვისტოს ჩვენს შენაერთს მძიმე მდგომარეობა შეექმნა ასტრაკანისა და კრასნოკუტრსკის რაიონებში, უეცრად აღმოვჩნდით გარემოცვის საფრთხეში, რადგან მტერმა ჩვენ მარჯვნივ მოქმედი შენაერთები შეავიწროვა.

პოეტის შთამაგონებელი სიტყვა აქაც დაგვეხმარა... ჯარისკაცებმა, რომლებიც აღფრთოვანებული იყვნენ ამ მძიმე წუთებში ირაკლი აბაშიძის ჩვენ გვერდით ყოფნით, ბრძოლის დროს თავგანწირვის სასწაულებრივი მაგალითები გვიჩვენეს.

იმ ღირსსახსოვარი დღეებიდან 36 წელი გავიდა, მაგრამ ჩვენი თანამებრძოლები ახლაც სიამაყით იხსენებენ იმდროინდელ შეხვედრებს.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ

ᲒᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲬᲕᲔᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲣᲚ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲒᲕᲧᲝᲚᲓᲔᲗ, ძვირფასო ირაკლი ბესარიონის ძვ! გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს და ამიერიდან სიბრძნის ხანაში და თქვენი ტალანტის აყვავების ახალ ერაში გადადგომას. ძმურად გეხვევით და ახალ შემოქმედებითს წარმატებებს ვისურვებთ ჩვენს ძნელ ლიტერატურულ სარბიელზე.

ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲘ.

ᲑᲠᲫᲝᲚᲜᲐ და თავმდაბალს, ჩვენს ხაყვარელ, ძვირფას მეგობარს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, შემოქმედებითს წარმატებებს. მაგრად გეხვევ, კოცნი.

ᲞᲔᲢᲠᲔᲣᲡ ᲑᲠᲝᲛᲕᲘᲐ.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ მეგობარო და ძმაო! თქვენი ხმოცდამეათე წლისთავი ქართული სიტყვის სულიერი სიდიადის კიდევ ერთი ფურცელია. თანამედროვე ქართველ ინტელიგენციაზე ჩვენ ხშირად თქვენი პიროვნებით ვმსჯელობთ. დღეგრძელი იყავით! იმედი მაქვს, რომ კიდევ გვექნება დღეები, როცა ძმურად შევხვდებით ერთმანეთს.

ᲩᲘᲜᲒᲘᲖ ᲐᲘᲢᲛᲐᲢᲝᲕᲘ.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ირაკლი ბესარიონის ძვ! თქვენი დაბადების 70-ე წლისთავის დღეს გულითადად გილოცავთ ამ თარიღს. ავადმყოფობის გამო პირადად ვერ გეახელით, რომ მაგრად ჩამოგერთვა ხელი და გამოგეტანა გულწრფელი აღტაცება თქვენი ბრძნული პოეტური სიტყვის გამო, რომელიც ყოველთვის აღგვანთებდა სამშობლოს, ხალხის უსაზღვრო სიყვარულის კეთილშობილური ცეცხლით და იყო დიდი პოეტური ხელოვნების ნიმუში ყველა ჩვენგანისათვის.

ᲖᲣᲚᲤᲘᲐ.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ მეგობარო, გულითადად გილოცავთ თქვენ, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო პოეტს, ხახელოვან სამოცდამეათე წლისთავს. თქვენი პოეზია მილიონობით ადამიანის სიხარულისა და სულიერი გამდიდრების წყაროა, იგი მაგრძნობინებს მოძმე ქართველი ხალხის ფართო ბუნებას, მარად ახალგაზრდა, უჭკნობი საქართველოს ნაოელსა და მშვენიერებას, ადამიანების, მიწის, ბუნების მხურვალე სიყვარულს.

ᲛᲘᲠᲜᲐ ᲘᲑᲠᲐᲒᲘᲛᲝᲕᲘ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲐ

ᲡᲐᲗᲐᲧᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲓᲣᲓᲘᲜᲘ

ᲬᲕᲘᲓᲐᲗᲐᲧᲕᲘᲓᲐᲐ ჩემთვის კავკასია! ლერმონტოვის ამ სიტყვებს ყოველთვის წარმოვთქვამ და ძღვიქვამ როგორც ანდერძს, სხვაგვარად ვერც წარმოითქმება, იმრიგად საყოველდროოდ არიან მიწებებულნი ერთმანეთზე, იმრიგად არიან ჩასმულნი ჩვენი ძმობის ძეგლის ცოკოლის გრანიტზე და ბრწყინავენ.

ჩვენს სულშია ეს ძეგლი, იგი ერთნაირად ძვირფასია რუსი და კავკასიელი პოეტებისათვის.

მე მიყვარს კავკასია, მისი ხალხების ძველთაძველი ბრძნული პოეზია. და მე მიყვარს შენი საქართველო, ირაკლი, აკვანი პრომეთეს ცეცხლისა, შენი ამაღლებული სულისა და შენი ვაჟკაცური სიმღერისა.

ეს სიყვარული მასწავლეს პუშკინმა და ლერმონტოვმა, რუსთაველმა და ტოლსტოიმ, ტიხონოვმა და ბარათაშვილმა, პასტერნაკმა და გალაკტიონ ტაბიძემ.

ჯერ კიდევ სოფლის სკოლაში, საკლასო დაფასთან გასული, ვკითხულობდი: „კავკასიონი ჩემს წინაა“ და, უჩვეულო ოცნებით ატაცებული, პუშკინის არწივთან ერთად დავტრიალებდი თავს შენი საქართველოს მთებს, ირაკლი!

მიყვარხარ, ირაკლი, იმიტომ, რომ შენმა სათაყვანო საქართველომ მთელი თავისი ისტორიით, დიდებითა და სისხლით მოგანიჭა უხვი ტალანტი და სათნო გული.

თვალს ვხუჭავ, და თვალწინ წარმომიდგება მთელი შენი ბრწყინვალებით, ვხედავ შენს მომხიბვლელ ღიმილს, ირონიით ოდნავ ჩამუქებული თვალების შუქი რომ გადაკვრია და მესმის შენი ხრიწწარევი ხმა. თვითონ შენ გერიდება ამ ხრიწწისა, მე კი სიამეს მგვრის, — ეგ ხმა მაგონებს ბულბულს, მიხაილოვსკოეში, პუშკინის სახლის ფანჯრებთან აყრილ ისამნის ბუჩქებში რომ დაედო ბინა. ოხ, როგორ გალობდა ის დალოცვილ! თანაც ძალზე თამამი იყო — გაწვდილი ხელის მანძილზე მიგიშვებდა ახლოს. და უცებ რაღაც დაემართა! იქნებ მეტისმეტად ცივი იყო ის წვეთი ნამისა, ლორთქო ფოთლის მწვანე ხელისგულიდან რომ შესვა და გაციცა თავისი ბულბულის ყელი? გაიცივა, მაგრამ არკი დაბნეულა: ჩურჩულით დაიწყო გალობა, და ეს ისეთი განსაცვიფრებელი და ისეთი მშვენიერი რამ იყო, რომ ფოთლები და ვარსკვლავები, ბალახში კალიები და ბალახზემოთ კოღოები გაქვავდებოდნენ ხოლმე, როგორც კი მის გალობას მოჰკრავდნენ ყურს.

თვალს ვხუჭავ და ყურს ვუგდებ შენს ხმას; იმ ბულბულის ხმას, ნამის მეტისმეტად ცივი წვეთი რომ დალია ვაზის ფოთლიდან. მაგრამ მე ხომ არ უნდა შეგახსენო აღმოსავლური სიბრძნე: თუ გინდა უკეთ გაიგონონ, ჩურჩულით ილაპარაკეო. შენც ლაპარაკობ, და მეც გისმენ: **„თუმც სულ ქართული მქონდა ბუნება, გული მგონსნური, სული ფრთოსნული, ახალგაზრდობის ყველა ცოუნება, თუმცა სულ ჩემზედ იყო მოსული, თუმც გაფლანგული მაქვს ასეული, ხან სიხარული, ხან დაღონება, მაინც ათასი ზეშთაგონება, მაქვს შენახული ვით ფასეული“.**

გესმის, ირაკლი, მე მათრობს ხსოვნა და სიყვარული შენი და შენი სათაყვანებელი საქართველოსი, რომელმაც შენს სულში გაიკეთა ბუდე სიხარულისა და დაგიოლა პოეტის გზა.

შენ ყოველთვის იყავი ჩემთვის ნიმუში პოეტისა, და შენთან ყოველი შეხვედრისას ვტკბები იმნ ცქერით, თუ რანაირად გიჭირავს თავი ყოველნაირ კამპანიაში, რა შეთანხმებული და პოეტურია შენი ჟესტები, რა ბუნებრივია შენი მწყობრი ლაპარაკი, განმტკიცებული ფართო და ღრმა ცოდნით, თვით ცხოვრებითაც, სხვადასხვა ხალხის კულტურათა მემკვიდრეობითაც.

მე მსიამოვნებს დღეს, შენი სამწვერვალო დღესასწაულის დღეს, მაგ ამაღლებული სულის შესახებ ვილაპარაკო ჩემი მშობლიური რუსული ენის ამაღლებული წყობით.

შენ ქართველი ხარ, მე კი რუსი. მერედა რაო? აკი მთაწმინდაზე ერთ მიწაში განისვენებენ გრიბოედოვი და ბარათაშვილი. სლანგში აკი ერთ საძმო სამარეშია დაკრძალული ნეშტი ჩვენი ბატარეის მეთაურისა, ქართველი ავთანდილ ჩხეიძისა და ტანჯსწინაღო თოფების ოცეულის მეთაურის, რუსი პოეტის გიორგი სუვოროვისა. ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგრამ ორივემ თავისი სიცოცხლე ანაცვალა ლენინგრადის სიცოცხლეს.

მე ვისმენ შენს „პალესტინას...“ ალექსანდრე მეჟეიროვის ბრწყინვალე თარგმანით და მოიცავს შენი გაბედულება, რომ ელაპარაკები ქვეყნიერებას და უწინარეს ყოვლისა შენს სათაყვანებელ საქართველოს ღვთაებრივი რუსთაველის სახელით: **„მე აზრი ვიყავ, ბედი კაცთა მე არ მებარა, ჩემად იმედად, ჩემად ტანჯვად მე ეს მეყოფის, მე კაციც ვიყავ, მეც ამ მიწის მედო ბეგარა, მე ვიყავ მონა სიყვარულს და ერთმეფობის“.**

ვისმენ შენს ხმას და მიყვები შენს სიმღერას, ირაკლი! და გზაჯვარედინები შენი ბედისა, მეოცე საუკუნის ქარებს რომ გაუმსკვალავს, ჩემი გზაჯვარედინებიც ხდება.

შენს მერანს ღირსეული მხედარი ჰყავს.

ხოლო როდესაც შენ ამბობ: **„პოეტის გული — ქალაქი რომი, ყველა გზას მისკენ რომ ეჩქარება, პოეტის გული — მსოფლიო ომი, სისხლისღვრა, ცეცხლი და მდულარება“.**

ჩემთვისაც გასაგები ხდება ეს და ამისთვის მადლობას გეუბნებ, შენ, ირაკლი!

Ჯ. ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲐᲥᲔᲓᲐᲜ იწყება, აი ამ სურათიდან: „ძმები ანდრია და ირაკლი აბაშიძეები, 1912 წ.“ მერე კი, მერე მთელი ფოტომატიანეა, ცხოვრებაა კაცისა, რომელსაც შეუძლებელია ისე, სხვათაშორის გაადევნო თვალი. ყველა ამას გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში ნახავთ, როცა გაეცნობით ფოტოგამოფენას, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმმა მოაწყო (ავტორ-შემდგენელი ფოტოჟურნალისტი ბ. დადვაძე).

სხვადასხვა წლებში გადაღებული ფოტოსურათები უფრო ახლო გვაცნობს ირაკლი აბაშიძეს — შესანიშნავ პოეტს, მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს.

...ფოტოსურათები 30-იანი, 40-იანი წლებისა. ირაკლი აბაშიძე სსრ კავშირის მწერალთა პირველი ყრილობის დელეგატთა შორის, შემდეგ ყირიმის ფრონტი... შეხვედრები ნ. ტიხონოვთან, მ. შოლოხოვთან, კ. სიმონოვთან, ი. ერენბურგთან...

ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორმა თ. ბადურაშვილმა აღნიშნა, რომ მათ ამ გამოფენას უწოდეს „ირაკლი აბაშიძე — ხალხთა მეგობრობის მეხოტბე“. და განა ასე არ არის? ფოტოსურათების დიდი ნაწილი სწორედ იმას გვაცნობს, თუ რა ახლო, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა და აქვს პოეტს არა მარტო საბჭოთა, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ლიტერატურის და ხელოვნების მოღვაწეებთან. დამთვალიერებლები სამადლობელს ამბობენ და თბებეშილებათა წიგნშიაც იწერება პირველი სტრიქონები... თითქოს ფეხდაფეხ მოვიარეთ პოეტის მღელვარე ცხოვრების გზა, მასავით ლამაზი, რომანტიკული და დაუსრულებელი. („კომ.“ კორ.).

ᲞᲝᲔᲢᲘᲠᲘ ნიჭის აღიარებას და პოპულარობას ირაკლი აბაშიძემ თავისი ლიტერატურული დებიუტისთანავე მიაღწია.

ეს დებიუტი ორმოცდაათიოდე წლის წინათ შედგა. მაგრამ 60-იანი წლებიდან მოყოლებული ირაკლი აბაშიძე — ქართული პოეტური პარნასის ჭეშმარიტი პოეტი-ტრიუმფატორია.

პოეზიის იმ სასწაულებთან ზიარების შემდეგ, რომლებითაც განვებამ უშურველად ანებივრა ჩვენი საუკუნის ქართველობა, მისი გულისა და თვალთახედვის დაპყრობა რომ იოლი საქმე არ იყო, ცნობილი ამბავია. ლექსით და პოეტით ქართველი კაცის გაკვირვება ძნელი საქმეა!

მაშ რა იყო ის მიზეზი, რომელმაც 60-იანი წლებიდან დღემდე ირაკლი აბაშიძისადმი ინტერესის დაუმცხრალობა განაპირობა?

ვისაც ამ პერიოდის ქართული კულტურის, სოციალური ფსიქოლოგიის, საერთო საზოგადო სიტუაციის, ღირებულებრივი ორიენტაციის ფორმებსა და მის ამოცანებზე უფიქრია, კარგად მოეხსენება, რომ პასუხი დასმულ კითხვაზე მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობითი საზომებით არ იფარგლება.

სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალისტები დღეს დაბეჯითებით გვიმტკიცებენ, რომ 60-იანი წლებიდან მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს ღირებულებათა ულმობელი გადაფასების პროცესი.

ღირებულებათა სწორედ ასეთი შეჯახებების ატმოსფეროში ირაკლი აბაშიძის პოეზიამ ქართული საზოგადოების თვალთამზერა, თითქოს უცაბედად, ისეთ შიდაფენებში ჩაახედა, რომელთა მიეწყვებაც საბედისწერო დაღად დაანდებოდა ჩვენი კულტურის მთლიან სისტემას.

და მკითხველიც გულმინდობით გაჰყვა მას „რუსთაველის ნაკვალევზე,“ „ინდოეთისაკენ“, „ამერიკისათვის თვალის გადასავლებლად“ და იმ ქორალების მოსასმენად, **რომლებსაც „პალესტინის“** ხილვებიდან სამყაროში ერი-პიროვნების ადგილსა და ხვედრზე ფიქრი უნდა აღეძრა.

იგივეა ამ ციკლის დამასრულებელი „მიახლოების“ ამოცანაც, რომელიც თუ სიმართლეს ვიტყვით, უკვე იყო არა „მიახლოება“, არამედ „ჩაღრმავება“.

ამ პერიოდიდან ახალი სიო ქროდა ქართული კულტურის მთლიან ფონზე. ირაკლი აბაშიძის პოეზიაში ახალი პერიოდის ქართველი კაცის განმაზოგადებელი კონცეფცია გამოიკვეთა.

ეს არ იყო მხოლოდ დღევანდელ დღეზე მოფიქრალი კაცი. მის შეგნებაში მეტი სიცხადე შეიძინა დროისადმი დამოკიდებულების იმ პრინციპმა, რომელსაც ფილოსოფოსები „ექსტატიურ ტემპორალობას“ უწოდებენ. ეს არის დროის — წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურ მთლიანობაში წვდომის უნარი. რამეთუ მან კარგად უწყის: ყოველი აწმყო წარსულით არის დაპროგრამებული, ისევე, როგორც მომავალს განსაზღვრავს უკვე წარსულად ქცეული თანამედროვეობა.

ირაკლი აბაშიძის პოეზიამ და პიროვნულმა თვისებებმა ლიტერატურული ატმოსფერო თვისებრივად განმუხტა ყალბი ცერემონიალურობის დაძაბულობისაგან. თავისუფლად ამოისუნთქა გულწრფელობის პათოსმა, დემოკრატიზმმა, ადამიანისადმი ნდობამ და განმაიარაღებელმა ჰუმორმა.

ირაკლი აბაშიძის სახელთან მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ნდობა და მიღება იმ ღირებულებებისა, რომლებიც ენოუზიაზმით მოჰქონდა ახალ საბჭოთა თაობას. მეტიც: იგი თავად იქცა ამ ღირებულებათა შემოქმედად და განმასახიერებლად.

ასეთი საქმეები რომ ლაღად და თავისუფლად არ კეთდება, ცნობილი ამბავია. ასეთ სიტუაციაში ირაკლი აბაშიძემ შემაერთებელი ხიდის როლი იტვირთა ლიტერატურის ჭეშმარიტი ამოცანების საფუძველზე გაერთიანებული ქართული კულტურის შემოქმედ თაობათა შორის.

ვისაც ლიტერატურული პროცესების შინაგან წინააღმდეგობათა თავისებურებებში ჩაუხედავს, მას კარგად მოეხსენება ირაკლი აბაშიძის ამ შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი ქმედების ფასი. ამ თვისებებმა განაპირობეს მისი პოეზიისა და პიროვნების წარმომადგენ

დრო, ამბები, მოვლენები

გამოვიდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მეოთხე ტომი. ამ უნივერსალური სამეცნიერო ცნობარის ტომები მოიცავს საქართველოს, სსრ კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა ისტორიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, საზოგადოებრივი ცხოვრების, კულტურისა და მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მრავალ საინტერესო საკითხებთან დაკავშირებულ 20.429 ტერმინ-სტატიას.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მეოთხე ტომი მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან აშუქებს ქართველი ერის თვალსაზრისს თანამედროვეობის ყველა აქტუალურ საკითხზე. იგი გვიჩვენებს ჩვენი რესპუბლიკის სწორუპოვარ მიღწევებს მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა დარგსა და სფეროში. ამ ტომის ავტორები, რომელთა რიცხვი 1500-ს აღემატება, რამდენიმე ათასი ტერმინ-სტატიით ქმნიან მოზაიკას, რომელიც ერთობლივად გამოხატავს ქართული სამეცნიერო აზრის დამოკიდებულებას კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნისა და კულტურისადმი. ისინი ასახავენ მეცნიერებისა და ტექნიკის საინტერესო საკითხებსა და სიახლეებს მსოფლიოში მიმდინარე დიდმნიშვნელოვან პროცესებს ეკონომიკის, სოციოლოგიისა და პოლიტიკის სფეროში, საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდ მიღწევებს ახალი საზოგადოების აღმშენებლობის ყველა უბანზე, მათ მიერ გამოვლილ ისტორიულ გზას. განსაკუთრებით უხვად და დეტალურად არის წარმოჩენილი ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულთან და თანამედროვე ცხოვრებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია.

მეოთხე ტომი სულ შეიცავს 5.161 ტერმინ-სტატიას, რომელთაგან დაახლოებით მეოთხედი ქართულ სინამდვილესთან არის დაკავშირებული. ცოდნის დარგების მიხედვით ამ სტატიათაგან 737 მიეკუთვნება დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებს, რომლებსაც უკავშირდება აგრეთვე 560 სტატია საქართველოს გეოგრაფიის საკითხებზე; 453 სტატია აშუქებს მსოფლიოს ქვეყნების, 308 — მოკავშირე რესპუბლიკების და 216 — საქართველოს ისტორიის საკითხებს. 439 სტატია ეხება ლიტერატურისა და ენათმეცნიერების, 407 — ხელოვნების პრობლემებს, ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის საკითხებს ეძღვნება 432 სტატია, ტექნიკისას — 367, ბიოლოგიისას — 382, მედიცინისას — 207, სოფლის მეურნეობისას — 153, ეკონომიკისას — 145, ფილოსოფიისას — 125, სამართლისას — 117, პედაგოგიკის და პრესისას — 106 სტატია. ტომში დაბეჭდილია აგრეთვე 11 კომპლექსური სტატია, რომლებშიც გაშუქებულია შესაბამისი ქვეყნებისა და საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობა, ისტორია, ეკონომიკა, სახელმწიფოებრივი წყობილება, მეცნიერება და კულტურა.

მეოთხე ტომში, ისევე როგორც წინა ტომებში, შეტანილია დიდმნიშვნელოვანი სტატიები, რომლებიც მკითხველი საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებას მიიპყრობს.

ერთვნული საუნჯე

ეს სტატიები შეეხება მსოფლიოს გამოჩენილ პიროვნებებს (ენგელსი, ევრიპიდე, ესქილე, ვეგა, კარპიო, ველასკესი, ვირგილიუსი, ვერდი, ვოლტერი, ზოლა, თაგორი), დიდ გეოგრაფიულ ერთეულებს (ევროპა, ეგვიპტე ძველი, ეთიოპია, ესპანეთი, ვატიკანი, ვიეტნამი, ვოლგა, ზღვა), ქალაქებს (თბილისი, ერევანი, ვოლგოგრადი, ვარშავა, ვენა, ვენეცია), დარგებს და სხვადასხვა მიმდინარეობებს (ვეტერინარია, ვეგეტოლოგია, ეგზისტენციალიზმი, ეთიკა, ეთნოგრაფია, ეკონომიკა, ელექტრონიკა, ენა, ენათმეცნიერება, ენდოკრინოლოგია, ენერგეტიკა, ენციკლოპედია, ეპოსი, ერი და ეროვნული საკითხი, ესთეტიკა, ექსპრესიონიზმი, ვაჭრობა, ვეტერინარია, ზოოლოგია, თეატრი), ქართული ისტორიის და კულტურის დიდ პიროვნებებსა და მოვლენებს (ერეკლე II, ერისთავი გიორგი, ეფრემ მცირე, ექვთიმე თბილელი, ეგრის-აფხაზეთის სამეფო, ეგრისის (ლოზეთის) სამეფო, ვანის ქვაბები, ვაჟა-ფშაველა, ვარძია, ვახტანგ VI, ვახტანგ გორგასალი, ვახუშტი, ზარზმა, თამარ მეფე, თევდორე მხატვარი, თევდორე მღვდელი, თეიმურაზ I, თმოგვი, თორნიკე ერისთავი).

საენციკლოპედიო სტატიაში მისი ავტორმბრივი თავისებურების, მკაცრი რეგლამენტირების გამო შეუძლებელია ესა თუ ის საინტერესო საკითხი მთელი სიღრმით და სიგრძე-სიგანით იქნეს გაშუქებული. მაგრამ ამ ვითარებას სრულად ანაზღაურებს ტექსტის მომდევნო ბიბლიოგრაფიული ნაწილი — ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული მრავალი ათასი ლიტერატურული დასახელება, რეკომენდებული წიგნი, რომლითაც აღჭურვილია ტომში მოთავსებული სტატიების უდიდესი ნაწილი. სტატიათა საცნობარო ღირებულება გამდიდრებულია აგრეთვე მათი თანმხლები ილუსტრაციებით, სქემებით, ნახატებით, ცხრილებით, რუკებით, კერძოდ ტომში მოთავსებულია ღრმა ბეჭდვის 20 ჩანართი, მაღალი ბეჭდვის 10 ფერადი ჩანართი, ფერადი ოფსეტური ჩანართი, 6 ფერადი ჩანართი რუკა, 46 შავ-თეთრი სატექსტო რუკა, 1600 ილუსტრაცია და სქემა.

კონკურსებზე ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ტომებმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს. 1977 წელს მეორე ტომი რესპუბლიკის საუკეთესო წიგნად იქნა აღიარებული.

მეოთხე ტომიც ღირსეულად განაგრძობს ამ კეთილ ტრადიციას.

(საქინფორმი).

21 ნოემბერს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის ონკოლოგთა VIII კონფერენცია. მისი მონაწილენი იხილავენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ონკოლოგიური დახმარების მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებს, ავთვისებიან სიმსივნეთა ეპიდემიოლოგიის შესწავლის საკითხებსა და მოსახლეობის პროფილაქტიკური გასინჯვის ახალ ორგანიზაციულ ფორმებს, კიბოს დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდებსა და სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს.

— პირველი ასეთი კონფერენცია, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ ონკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ლ. ი. ჩარკვიანმა, — 30 წლის წინათ გაიმართა. კიბოს წარმოშობისა და განვითარების კლინიკისა და დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის აქტუალური საკითხების ერთობლივ განხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული და მეცნიერული ონკოლოგიის შემდგომი სრულყოფისათვის.

ებრძვიან კიბოს

კიბოს დროული გამოვლინებაა ადამიანს სიცოცხლეს უნარჩუნებს — ასეთია ამიერკავკასიის ონკოლოგთა მთავარი დევიზი

კიბოს ხშირად XX საუკუნის დაავადებას უწოდებენ. და ამის საფუძველი გვაქვს. ავთვისებიანი სიმსივნე ხალხს ყოველთვის ემართებოდა, მაგრამ წინათ მას ჩრდილავდა და წინ უსწრებდა სხვა დაავადებანი, რომლებიც ხშირად იწირავდნენ ახალგაზრდებს. ცნობილია, რომ საუკუნის დამდეგს ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მეფის რუსეთში მხოლოდ 32 წელს შეადგენდა. ბავშვთა დიდი სიკვდილიანობა, ტუბერკულოზი, ფართოდ გავრცელებული მწვავე ინფექციური დაავადებანი ხელს უწყობდნენ იმას, რომ სენით, რომელიც დამახასიათებელია უფრო ხანში შესული და ხანდაზმული ასაკის ადამიანისათვის, მაგალითად გულითა და სისხლძარღვებით დაავადებას ბევრი საერთოდ ვერ ასწრებდა. თუმცა ჩვენს დროში ხშირად გაიგონებთ კიბოს „გაახალგაზრდავების“ შესახებ, სტატისტიკის მონაცემებით, 70 წლამდე მიღწეულ ადამიანს კიბოთი დაავადების თითქმის ასჯერ მეტი შანსი აქვს, ვიდრე 25-30 წლის ასაკისას. ეს მჭევრმეტყველურად მოწმობს, რომ კიბოს სიხშირე დამოკიდებულია ასაკზე.

საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში შექმნილია სპეციალიზებული სამკურნალო-პროფილაქტიკური დანესებულებების განშტოებული ქსელი. დიდი პროფილაქტიკური მუშაობა — პრაქტიკულად ჯანსაღ ადამიანთა მასობრივი გასინჯვა, მოსახლეობის დიდი ჯგუფების დისპანსერიზაცია — ხელს უწყობს სიმსივნის ადრეულ გამოვლინებას და მაშასადამე დაავადების წინააღმდეგ უფრო ეფექტიან ბრძოლასაც. დიდი მნიშვნელობა აქვს გარემო ბუნებაში კანცეროგენული აგენტების გამოვლინებისა და აღმოფხვრისათვის მუშაობასაც.

დიაგნოზი „კიბო“ ახლა ფატალური აღარ არის. მიუხედავად ამისა, ავთვისებიანი სიმსივნეები ჯერ კიდევ ბევრს იწირავს. ამიტომ დაავადების წინაადმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო აქტიური უნდა გახდეს. ბევრი ავადმყოფი, რომლებსაც აქვთ სიმსივნის გარკვეული სიმპტომები, დროულად არ მიმართავს ექიმს. ძალიან ხშირად ამის მიზეზია უსაფუძვლო, მაგრამ მეტად გავრცელებული აზრი — კიბო განუკურნებელი სენიაო. ამასთან უთუოდ სამართლიანია ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ლოზუნგი: „კიბოს დროული გამოვლინება ადამიანს სიცოცხლეს უნარჩუნებს“. (საქინფორმი).

ინგლისელი მეცნიერის აზრით

ლიტერატურის ინსტიტუტმა მიიღო ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის, პროფესორ რობერტ სტივენსონის წერილი, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის კორნელი კეკელიძის მეცნიერულ მოღვაწეობას. „კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“, — წერს სტივენსონი, — პირველი ქართული წიგნი იყო, რომელმაც ქართული ლიტერატურის მთელი სიმდიდრე გადამიშალა. ეს, ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასი წიგნი დაწერილია ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე. ქართული ლიტერატურის ამა თუ იმ საკითხზე. კორნელი კეკელიძის ნაწარმოების წაკითხვამ თვით ტექსტის შესწავლისათვის მომამზადა. უდავოა, რომ კ. კეკელიძის „ისტორია“ საჭიროა ყველასათვის, ვინც ქართული ფილოლოგიის სფეროში მუშაობს“.

(საქინფორმი).

ტროლეიბუსის ახალი ტრასა

ბათუმი. (საკ. კორ.). დიდი ხანი არ არის, რაც ქალაქ ბათუმსა და ხელვაჩაურის რაიონულ ცენტრს შორის ამუშავდა ტროლეიბუსის ხაზი. ეს მოხერხებული ტრანსპორტი მოკლე დროში უკვე მოემსახურა 3 მილიონზე მეტ მგზავრს.

ახლა მონტაჟდება ახალი ტრასა — ბათუმ-ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დასახლება.

საფუტკრე სკოლაში

მრავალი ჯიშის ფუტკრიდან ქართული ფუტკარი ერთ-ერთი ყველაზე ჰიპუოლარულია. იგი მშვიდი ხასიათისაა და უნიღბოდ შეიძლება მასთან მისვლა. ქართულ ფუტკარს გრძელი ხორთუმი აქვს, რაც შესაძლებლობას აძლევს ფალა აიღოს იმ ყვავილიდან, რომელიც სხვა ფუტკრისათვის მიუწვდომელია. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ქართული ფუტკარი ბევრ თაფლს იძლევა.

ქობულეთის მეექვსე საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლის ნათელა კუტუბიძის ნაამბობმა ჩვენი შესანიშნავი ფუტკრის შესახებ დიდად დაინტერესა მოსწავლენი. მათ გადაწყვიტეს სკოლის ნაკვეთში თვიანთნი საფუტკრე შეექმნათ. ფუტკრები რომ გამოიკვებათ, დარგეს ორმოცი ძირი აკაციის ხე.

ქობულეთელმა მოსწავლეებმა მოუწოდეს თანატოლებს შექმნან საფუტკრეები სასკოლო ნაკვეთებზე. (საქინფორმი).

კინომოყვარულს—ფართო გზა

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა ამ რამდენიმე ხნის წინათ განიხილა საკითხი „რესპუბლიკაში კინომოყვარულობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია ნაკლოვანებები კინომოყვარულთა ქსელის განვითარების საქმეში. ამ ბოლო დროს გაუქმებულია კინომოყვარულთა სტუდიების უმეტესობა, ორმოცამდე მსხვილ ორგანიზაციაში, საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წინათ მოქმედი კინომოყვარულთა წრეები დღეს აღარ არსებობენ. ასეა თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების და ლიხაურის კოლმეურნეობებში, ფეხსაცმელების საწარმოო გაერთიანება „ისანში“, გორის ბამბეულის კომბინატში, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სიღნაღის რაიონულ კულტურის სახლში და ა. შ. არადა, აქაურმა კინომოყვარულებმა შექმნეს ისეთი ფილმები, რომლებიც პრემრებულ იქნა არა მარტო რესპუბლიკურ, არამედ საკავშირო ფესტივალებზე, ხოლო გამარჯვებული ფილმები უჩვენეს რესპუბლიკური და საკავშირო ტელევიზიით. ამიტომაც ჩვენი რესპუბლიკის კინომოყვარულები იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის კინომოყვარულთა პირველ რიგებში იყვნენ.

დღეევანდელი მდგომარეობა კი იმით იხსნება, რომ ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები გულგრილად ეკიდებიან ამ მნიშვნელოვან საკითხს.

წარმოების ცხოვრებაზე კინომოყვარულთა ფილმების შექმნას ისეთივე სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს, როგორც ძირეული პრესის, კედლის, რადიოგაზეთის გამოშვებას. კინომოყვარულთა ფილმები უპირველესად უნდა ეძღვნებოდეს საწარმოს, ორგანიზაციის ყველაზე აქტუალურ და ცხოვრებისეულ თემას „შრომა და კოლექტივი“, „კომუნიტარულად ასახავდეს საწარმოს ცხოვრების ისტორიას, კოლექტივის მშრომელი ადამიანის მაღალ შეგნებას, პოპულარიზაციას უწევდეს მოწინავეთა მეთოდებს, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას, მის საჯაროობას, წარმოების მაღალი კულტურის დანერგვას, მასალათა ეკონომიის, შრომის უსაფრთხოების, სანიტარული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მდგომარეობას.

ქარხნის კინომოყვარულებმა თვიანთ ფილმებში გაბედულად უნდა კვიჩვენონ წარმოების მტკივნეული საკითხები, ბრძოლა ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, ბოროტებათა ფესვებზე, ფეხმოკიდებული ბოროტებისა და ბალასტის, ბოროტ ჩვეულებათა, ბოროტ ადამიანთა, ბოროტ ფიქრთა, ბოროტ ენათა, ბოროტ ბუნებათა, ბოროტ ბოროტებათა, ბოროტ ბოროტ ბოროტ